ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი № 5

ქ. თბილისი, 21 აპრილი, 2023 წელი

სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ,

დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 30 წევრი

სხდომას ესწრებოდა 19 ხმის უფლების მქონე წევრი

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ.

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის ვადების დაწესების შესახებ.

ა. **აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრისთვის** საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამისა და მასში შესატანი ცვლილებების აღწერის სრული ნაკრების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარდგენის **ბოლო ვადად** განისაზღვროს კალენდარული წლის 15 ივნისი.

ბ. **აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრისთვის** საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამისა და მასში შესატანი ცვლილებების აღწერის სრული ნაკრების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარდგენის **ბოლო ვადად** განისაზღვროს კალენდარული წლის 1 დეკემბერი.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფ. ლ. საბაური/

3. კურსდამთავრებულებისთვის მინიჭებული ხარისხის კორექტირება.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფ. ლ. საბაური/

4. კურსდამთავრებულებისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭება.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფ. ლ. საბაური/

5. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფ. ლ. საბაური/

6. ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფ. ლ. საბაური/

7. თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაში "ფინანსები" ცვლილებების შეტანის შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფ. ლ. საბაური/

8. თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკაში (ინგლისურენოვანი პროგრამა) ცვლილებების შეტანის შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფ. ლ. საბაური/

9. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ **რუსუდან სრესელისათვის** მეცნიერ-ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ.

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ჩავლეიშვილი/

10. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ალექსანდრე ვაჭარაძის** სადისერტაციო თემის ცვლილების შესახებ.

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ჩავლეიშვილი/

11. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **თამარ ჯანგულაშვილის** სადისერტაციო თემის და მეცნიერ-ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ.

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ჩავლეიშვილი/

12. დოქტორანტ **შოთა გაბადაძის** სადისერტაციო თემისა და მეცნიერ ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ.

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

13. მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს მდივნის ცვლილების შესახებ

პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს მდივანს, ასოცირებულ პროფესორს მარინა მაისურაძეს გაწეული მუშაობისათვის. ფაკულტეტის საბჭოს შესთავაზა მდივნის კანდიდატურა: ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი.

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს მდივნად ერთხმად არჩეულ იქნას ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი.

მოისმინეს: დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის მ. ჩავლეიშვილის ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების

ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

ასოცირებულმა პროფესორმა **მარინა ჩავლეიშვილმა** საბჭოს მოახსენა, რომ უნივერსიტეტს განცხადებით მიმართა ფოთის ფილიალის ფინანსები და საბანკო საქმის 2007 წლის კურსდამთავრებულმა ბექა ადანაიამ დიპლომში დაშვებული ხარვეზის გამო და ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურაში მარკეტინგის სპეციალობის 2000 წელს კურსდამთავრებულ დავით ალიმბარაშვილმა დიპლომში ტექნიკური ხარვეზის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე ბექა ადანაიას და დავით ალიმბარაშვილის სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების თანახმად ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე დაადგინა შემდეგი:

1. ბექა ადანაია 2004-2005 სასწავლო წლისთვის ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის

ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობის საბიუჯეტო სექტორზე (ბრძანება №17, 30.08.2004 - თსუ-ს ფოთის ფილიალი).

2005 წელს მიმდინარე სასწავლო წლის აკადემიური მაჩვენებლის შესაბამისად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობის I კურსის სტუდენტი ბექა ადანაია გადაყვანილი იქნა II კურსზე (ბრძანება №13, 20.06.2005 - თსუ-ს ფოთის ფილიალი). 2006 წელს საზაფხულო სესიების მონაცემების საფუძველზე II კურსის სტუდენტი ბექა ადანაია გადაყვანილი იქნა ფინანსების სპეციალობის III კურსზე (ბრძანება №27.06.2006 თსუ-ს ფოთის ფილიალი). 2007 წელს დეკანატის მონაცემების საფუძველზე III კურსის სტუდენტი ბექა ადანაია გადაყვანილი იქნა ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის IV კურსზე (ბრძანება №10, 27.06.2007 თსუ-ს ფოთის ფილიალი).

2007 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის დეკანატის მონაცემებისა და სემესტრული გამოცდების შედეგების საფუძველზე ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობის სტუდენტ ბექა ადანაიას მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (ბრძანება №13, 28.09.2007 - თსუ-ს ფოთის ფილიალი).

როგორც ცნობილია, თსუ-ს ფოთის ფილიალის ლიკვიდაციის პროცესი, სხვა ფილიალებთან ერთად დაიწყო 2007 წლის 23 ივლისიდან (რექტორის ბრძანება №65/01-01, 20.07.2007). იმ მიზნით, რომ სტუდენტები არ დაზარალებულიყვნენ 2006-2007 სასწავლო წლის ზაფხულში დაინიშნა დამატებითი ზაფხულის სემესტრი, რომელიც დაიწყო 25 ივნისს და დამთავრდა 15 სექტემბერს (სააუდიტორიო მეცადინეობები) - რექტორის ბრძანება №57/01-04, 26.06.2007. კურსდამთავრებულ სტუდენტებს ხარისხი მიანიჭა ყოფილმა ფოთის ფილიალმა (წერილზე თანდართულ დოკუმენტებში არ ჩანს ხარისხის მინიჭების მექანიზმი). 2007 წლის კურსდამთავრებულ ფოთის ფილიალის სტუდენტების პირადი საქმეები ფაკულტეტისთვის არ გადმოუციათ. ჩვენთვის უცნობია, თუ რამდენად სწორად მოხდა სტუდენტებისთვის და მათ შორის ბ. ადანიასთვის ბაკალავრის ხარისხის მინიჭება).

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული საქმისწარმოებით დასტურდება ბექა ადანაიას სწავლისა და ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების ფაქტი და რადგან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, არ იძებნება თსუ-ს ყოფილი ფოთის ფილიალის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულთათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები, მიზანშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს თსუ-ს ყოფილი ფოთის ფილიალის დირექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად ამავე ფილიალის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ".

2. დავით გიორგის ძე ალიმბარაშვილი 1998-1999 წელს „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის შესახებ დებულების" შესაბამისად რეიტინგული მონაცემების მიხედვით ჩაირიცხა კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურის საბიუჯეტო განყოფილების მარკეტინგის სპეციალობაზე (ბრძანება №4/786, 28.09.1998).

2000 წელს დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი MN№00708 (სარეგისტრაციო №01/250) რეგისტრირებული დავით ალიმბარაშვილის სახელზე. მის სახელზე გაცემული დიპლომიდან დასტურდება, რომ დავით ალიმბარაშვილმა 2000 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურის სრული კურსი სპეციალობით მარკეტინგი და დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: „საქონელმიმოქცევის გაუმჯობესების მარკეტინგული გზები". სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2000 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით მიენიჭა ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

თსუ არქივში დავით ალიმბარაშვილის პირად საქმეში ინახება მაგისტრატურაში მისი სწავლის დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტაცია:

- თსუ-ს მაგისტრატურაში ჩარიცხვის ბრძანება №4/786, 28.09.1998;

- დავით ალიმბარაშვილის სახელზე წარმოებული მაგისტრის სასწავლო ბარათი, რომელშიც დაფიქსირებულია სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შეფასება (5 - ფრიადი);
- მაგისტრის დიპლომისა და დიპლომის დანართის ასლი.

2000 წლის საუნივერსიტეტო ბრძანებებში კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე დავით ალიმბარაშვილისათვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდება. ასევე, არ ფიქსირდება კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2000 წლის შემაჯამებელი სხდომის ოქმებში დავით ალიმბარაშვილისათვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ ინფორმაცია. რაც შეეხება 2000 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელ სხდომის ოქმს, რომლის საფუძველზეც დავით ალიმბარაშვილს მიენიჭა ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და გაიცა დიპლომი თსუ არქივში და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე არ იძებნება. ოქმის თარიღი დაფიქსირებულია დავით ალიმბარაშვილის სახელზე დიპლომსა და დიპლომის სარეგისტრაციო ჟურნალში.

საკითხის შესწავლისას გაირკვა შემდეგი: კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2000 წლის 14 ივნისის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, არ იძებნება) მარკეტინგის სპეციალობის გარდა, ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ საბირჟო საქმის, საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაციისა და საქონელმცოდნეობის ეკონომიკის სპეციალობების კურსდამთავრებულებს (აღნიშნული თარიღი დაფიქსირებულია მათ სახელზე გაცემულ მაგისტრის დიპლომებისა და დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში), თუმცა, თსუ-ს ბრძანებებში კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ინფორმაცია, დავით ალიმბარაშვილის მსგავსად ამ სპეციალობების კურსდამთავრებულთათვისაც არ ფიქსირდება.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მოძიებული იქნა ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დეკანის, დოცენტ ი. ადეიშვილის, ბრძანება (უფრო სწორედ ალბათ ბრძანების პროექტის შავი პირი), რომელიც სავარაუდოდ საფუძველი იქნებოდა აღნიშნული ფაკულტეტის მაგისტრატურის

კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის შესაქმნელად. ბრძანებაში დაფიქსირებული 14 სპეციალობიდან 5 სპეციალობის *(1. გემოვანი პროდუქტების ექსპერტიზა და კომერცია საერთაშორისო ვაჭრობაში; 2. სახამებლის, თაფლის, შაქრისა და საკონდიტრო ნაწარმის ექსპერტიზა და კომერცია საერთაშორისო ვაჭრობაში; 3. რძის, რძის ნაწარმის და ცხიმების ექსპერტიზა და კომერცია საერთაშორისო ვაჭრობაში; 4. ხორცის, თევზის, კვერცხის და მათი გადამუშავების პროდუქტების ექსპერტიზა და კომერცია საერთაშორისო ვაჭრობაში; 5. მარცვლეულის, ხილ-ბოსტნეულის და მათი გადამუშავების პროდუქტების ექსპერტიზა და კომერცია საერთაშორისო ვაჭრობაში)* მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს კვალიფიკაცია მიანიჭეს 2000 წლის 21 ივნისის ოქმი №6-ით (თსუ რექტორის ბრძანება #4/554, 4.07.2000), დანარჩენ 5 სპეციალობისა *(1. ანტიკვარული საქონლის ექსპერტიზა და მარკეტინგი საერთაშორისო ვაჭრობაში; 2. სამრეწველო პროდუქციის სასაქონლო ექსპერტიზა და მარკეტინგი საგარეო ვაჭრობაში; 3. სამრეწველო წარმოების და საქონლის მარკეტინგი; 4. სამრეწველო პროდუქციის სტანდარტიზაცია და ხარისხის მართვა; 5. საერთაშორისო მარკეტინგი და საგარეო კომერციული ურთიერთობები)* - 2000 წლის 24 ივნისის ოქმი №5-ით (თსუ რექტორის ბრძანება №4/681, 14.07.2000), ხოლო დანარჩენი 4 სპეციალობის *(1. საბირჟო საქმე; 2. მარკეტინგი; 3. საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაცია; 4. საქონელმცოდნეობის ეკონომიკა)* მაგისტრატურის კურსდამთავრებულების თაობაზე კვალიფიკაციის მინიჭების ბრძანება არ იძებნება.

ამასთან აღსანიშნავია, ისიც, რომ ფაკულტეტის მიერ მოძიებულ „ბრძანების პროექტში" დაშვებულია ტექნიკური უზუსტობები. კერძოდ, კურსდამთავრებულთა გვარები არასწორად არის მითითებული.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენა/აღდგენის მუდმივმოქმედმა კომისიამ 2015 წლის 20 თებერვალს და 2015 წლის 20 მაისს განიხილა ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საბირჟო საქმის და მარკეტინგის სპეციალობის 2000 წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულების (კახაბერ ქაფიანი და ეკატერინე გაჩეჩილაძე) საქმე, რომელიც მსგავსია დ. ალიმბარაშვილის საქმისა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2014 წლის 11 ივლისს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა წერილობით (წერილი №21884/02, 11.07.2014) მიმართვა თსუ

იურიდიული დეპარტამენტს, რათა „მოეწოდებინათ დასკვნა არის თუ არა შესაძლებელი ამ საკითხზე მუშაობის დროს აღმოჩენილი დოკუმენტების საფუძველზე საბირჟო საქმის სპეციალობის 2000 წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულ კახაბერ გურამის ძე ქაფიანის კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის აღდგენა“. თსუ იურიდიული დეპარტამენტმა წერილობით აცნობა პასუხი თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს, რომელშიც აღნიშნავს შემდეგს: „კორესპონდენციაში აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტისთვის აუცილებელია, შესაბამისმა ფაკულტეტმა მაგისტრანტის სასწავლო ბარათში, რომელშიც დაფიქსირებულია მის მიერ შესასწავლი საგნებისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შეფასება, ასევე, საქმეში არსებული სხვა დოკუმენტებიდან გამომდინარემ იმსჯელოს, თუ რამდენად იძლეოდა ხსენებული დოკუმენტები კურსდამთავრებულისთვის ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაძლებლობას, რაც მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული სხვა მასალებიდან გამომდინარე დაადასტურებდა აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაძლო არსებობას ან არ არსებობას. ... აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ზემოაღნიშნული სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად“.

აღნიშნული პასუხის შედეგად, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა შესაძლებლობის ფარგლებში ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება. კერძოდ, მოიძია და გამოიკვლია დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში მითითებული 2000 წლის 14 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმის საფუძველზე 4 სპეციალობის *(1. საბირჟო საქმე; 2. მარკეტინგი; 3. საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაცია; 4. საქონელმცოდნეობის ეკონომიკა)* კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები და დაადგინა:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურაში 1998-1999 სასწავლო წელს შესაბამისი რეიტინგული მონაცემების მიხედვით:

* საბიუჯეტო განყოფილების მარკეტინგის სპეციალობაზე ჩაირიცხნენ დავით ალიმბარაშვილი, ეკატერინე გაჩეჩილაძე, ქეთევან თარალაშვილი, გიორგი იმნაძე და ნიკოლოზ ქართველიშვილი, ხოლო არასაბიუჯეტო განყოფილების მარკეტინგის სპეციალობაზე დავით პაპიაშვილი და კონსტანტინე მიქიაშვილი

(თსუ რექტორის ბრძანება №4/786, 28.09.1998 და №4/939, 21.10.1998). დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში და მათ სახელზე გაცემულ დიპლომებში დაფიქსირებული ინფორმაციით 2000 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით მაგისტრის ხარისხი მიენიჭათ დავით ალიმბარაშვილს, ეკატერინე გაჩეჩილაძეს, ქეთევან თარალაშვილს, გიორგი იმნაძეს, ნიკოლოზ ქართველიშვილს და კონსტანტინე მიქიაშვილს;

* საბიუჯეტო განყოფილების საბირჟო საქმის სპეციალობაზე ჩაირიცხნენ კახაბერ ქაფიანი და ირაკლი კასრაძე (თსუ რექტორის ბრძანება №4/786, 28.09.1998). დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში და მათ სახელზე გაცემულ დიპლომებში დაფიქსირებული ინფორმაციით მაგისტრის ხარისხი მიენიჭათ 2000 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით;
* საბიუჯეტო განყოფილების საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობაზე ჩაირიცხნენ ნინო დათუკიშვილი, გიორგი კუბლაშვილი, ეკატერინე მალაზონია და მარიამ ონიანი (თსუ რექტორის ბრძანება №4/786, 28.09.1998). დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში და მათ სახელზე გაცემულ დიპლომებში დაფიქსირებული ინფორმაციით 2000 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით მაგისტრის ხარისხი მიენიჭათ ნინო დათუკიშვილს და გიორგი კუბლაშვილს;
* საბიუჯეტო განყოფილების საქონელმცოდნეობის ეკონომიკის სპეციალობაზე ჩაირიცხნენ ლია ბედოიძე, ზურაბ გიორგაძე, პეტრე როყვა და ზურაბ შინჯიაშვილი (თსუ რექტორის ბრძანება №4/786, 28.09.1998). დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში და მათ სახელზე გაცემულ დიპლომებში დაფიქსირებული ინფორმაციით მაგისტრის ხარისხი მიენიჭათ 2000 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საატეტსტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით.

საარქივო მასალებიდან წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დასტურდება ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მარკეტინგის სპეციალობის 2000 წლის მაგისტრატურის ფაკულტეტის

მარკეტინგის სპეციალობის 2000 წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულ დავით ალიმბარაშვილის სწავლის ფაქტი. არ იძებნება 2000 წლის 14 ივნისის საატესტაციო კომისიის მიერ წარმოებული შემაჯამებელი სხდომის ოქმი და თსუ რექტორის ბრძანება, რომელიც გამოიცა აღნიშნული ოქმის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს დ. ალიმბარაშვილის დიპლომში მითითებული თარიღი 2000 წლის 14 ივნისი, ხოლო ნომრად 15 და პირობითობის აღსანიშნავად დაემატოს ასო „პ".

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1.1. აღდგენილად ჩაითვალოს თსუ-ს ყოფილი ფოთის ფილიალის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ბექა ადანაიას ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია და ბექა ადანაიას აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს 2007 წლის 28 სექტემბერი, ხოლო ოქმის ნომრად №13/პ.

1.2. აღდგენილად ჩაითვალოს 2000 წელს თსუ-ს ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურაში მარკეტინგის სპეციალობის კურსდამთავრებულ დავით ალიმბარაშვილის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია და თსუ-ს ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მარკეტინგის სპეციალობის 2000 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს დიპლომში მითითებული თარიღი 2000 წლის 14 ივნისი და ოქმის ნომრად №15/პ.

მოისმინეს: **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, პროფესორ ლ. საბაურის** ინფორმაცია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის ვადების დაწესების შესახებ

ა. **აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრისთვის** საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამისა და მასში შესატანი ცვლილებების აღწერის სრული ნაკრების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარდგენის **ბოლო ვადად** განისაზღვროს კალენდარული წლის 15 ივნისი.

ბ. **აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრისთვის** საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამისა და მასში შესატანი ცვლილებების აღწერის სრული ნაკრების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარდგენის **ბოლო ვადად** განისაზღვროს კალენდარული წლის 1 დეკემბერი.

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 19**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის წარმოდგენილი ვადები.

მოისმინეს: **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, პროფესორ ლ. საბაურის** ინფორმაცია კურსდამთავრებულებისთვის მინიჭებული ხარისხის კორექტირება.

1. თსუ-ს ყოფილი ფოთის ფილიალის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთვრებულ ბექა ადანაიასთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

   პროფესორმა **ლევან საბაურმა** საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№9770/29, 11.04.2023), რომელშიც აღნიშნულია, რომ თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა თსუ-ს ფოთის ფილიალის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ბექა ადანაიასთვის მინიჭებული

აკადემიური ხარისხის დაზუსტება „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოებისა და საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე დაადგინა:

ბექა ადანაია 2004-2005 სასწავლო წლისთვის ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობის საბიუჯეტო სექტორზე (ბრძანება №17, 30.08.2004 - თსუ ფოთის ფილიალი).

- 2005 წელს მიმდინარე სასწავლო წლის აკადემიური მაჩვენებლის შესაბამისად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობის I კურსის სტუდენტი ბექა ადანაია გადაყვანილი იქნა II კურსზე (ბრძანება №13, 20.06.2005 - თსუ ფოთის ფილიალი).
- 2006 წელს საზაფხულო სესიების მონაცემების საფუძველზე II კურსის სტუდენტი ბექა ადანაია გადაყვანილი იქნა ფინანსების სპეციალობის III კურსზე (ბრძანება №27.06.2006 თსუ ფოთის ფილიალი).
- 2007 წელს დეკანატის მონაცემების საფუძველზე III კურსის სტუდენტი ბექა ადანაია გადაყვანილი იქნა ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის IV კურსზე (ბრძანება №10, 27.06.2007 თსუ ფოთის ფილიალი).
- 2007 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის დეკანატის მონაცემებისა და სემესტრული გამოცდების შედეგების საფუძველზე ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობის სტუდენტ ბექა ადანაიას მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (ბრძანება №13, 28.09.2007 - თსუ ფოთის ფილიალი).

როგორც ცნობილია, თსუ-ს ფოთის ფილიალის ლიკვიდაციის პროცესი, სხვა ფილიალებთან ერთად დაიწყო 2007 წლის 23 ივლისიდან (რექტორის ბრძანება №65/01-01, 20.07.2007). იმ მიზნით, რომ სტუდენტები არ დაზარალებულიყვნენ 2006-2007 სასწავლო წლის ზაფხულში დაინიშნა დამატებითი ზაფხულის სემესტრი, რომელიც

დაიწყო 25 ივნისს და დამთავრდა 15 სექტემბერს (სააუდიტორიო მეცადინეობები) - რექტორის ბრძანება №57/01-04, 26.06.2007. კურსდამთავრებულ სტუდენტებს ხარისხი მიანიჭა ყოფილმა ფოთის ფილიალმა (წერილზე თანდართულ დოკუმენტებში არ ჩანს ხარისხის მინიჭების მექანიზმი). 2007 წლის კურსდამთავრებულ ფოთის ფილიალის სტუდენტების პირადი საქმეები ფაკულტეტისთვის არ გადმოუციათ. ჩვენთვის უცნობია, თუ რამდენად სწორად მოხდა სტუდენტებისთვის და მათ შორის ბ. ადანიასთვის ბაკალავრის ხარისხის მინიჭება).

ხარისხის მინიჭების შესახებ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის დირექტორის 2007 წლის 28 სექტემბრის №13 ბრძანებით ბექა ადანაიასთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციასთან. კურსდამთავრებულს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად უნდა მინიჭებოდა ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

პროფესორმა ლევან საბაურმა ფაკულტეტის საბჭოს მიმართა თხოვნით, რომ „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად შესწორდეს თსუ ყოფილი ფოთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ბექა ადანაიასთვის მინიჭებული ხარისხი და ნაცვლად **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“** მიენიჭოს **„ბიზნესის მართვის ბაკალავრის** აკადემიური ხარისხი“.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად თსუ-ს ყოფილი ფოთის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის ბაკალავრიატის 2007 წლის კურსდამთავრებულ ბექა ადანაიას „ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ ნაცვლად მიენიჭოს „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.

2. თსუ-ს ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დღის სწავლების ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობის 1998 წლის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფ. ლ. საბაური/

პროფესორმა **ლევან საბაურმა** საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№9154/29, 5.04.2023), რომელიც ითხოვს თსუ-ს ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობის ბაკალავრიატის 1998 წლის კურსდამთავრებულ დავით ალიმბარაშვილისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დაზუსტებას.

ადმინისტრაციული საქმისწარმოებისა და წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ დავით ალიმბარაშვილი 1994 წლის მისაღების გამოცდების შედეგების მიხედვით ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციის ფაკულტეტის დღის სწავლების ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაზე (ბრძანება №4/488, 07.08.1994).

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობის დღის განყოფილების კურსდამთავრებულ დავით ალიმბარაშვილს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1998 წლის 1 ივლისის სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №4) გადაწყვეტილებით მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ

რექტორის 1998 წლის 8 ივლისის №4/535 ბრძანებით - ეკონომისტის კვალიფიკაცია და მიეცა დიპლომი წარჩინებითი.

1998 წლის დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი წარჩინებით BH№00338 (სარეგისტრაციო №01/338) რეგისტრირებულია დავით ალიმბარაშვილის სახელზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ **„დავით ალიმბარაშვილი 1994 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციის და მარკეტინგის ფაკულტეტზე და 1998 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით ვაჭრობის ეკონომიკა და მარკეტინგი. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1998 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებით დავით ალიმბარაშვილს მიენიჭა ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.**

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელ ოქმში (ოქმი №4, 01.07.1998) და თსუ რექტორის ბრძანებაში (ბრძანება №4/535, 08.07.1998) მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არის ზოგადი სახით და არ არის შესაბამისობაში კურსდამთავრებულის სახელზე გაცემულ დიპლომში მითითებულ ხარისხთან. დიპლომის დანართის მოსამზადებლად აუცილებელია მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანა.

პროფესორმა ლევან საბაურმა ფაკულტეტის საბჭოს მიმართა თხოვნით, რათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისად შესწორდეს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის (დღის სწავლება) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1998 წლის 1 ივლისის შემაჯამებელი (ოქმი №4) გადაწყვეტილება და კურსდამთავრებულ დავით ალიმბარაშვილს მინიჭებული „ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ ნაცვლად მიენიჭოს „ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“. შესაბამისი ცვლილება კი გავრცელდეს ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის (დღის სწავლება) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1998 წლის 1 ივლისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№4, 1.07.1998) დაფიქსირებულ ყველა კურსდამთავრებულზე.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის (დღის განყოფილება) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის (შემაჯამებელი სხდომის ოქმი №4, 1.07.1998) გადაწყვეტილება და დღის სწავლების საბიუჯეტო განყოფილების ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობის კურსდამთავრებულ დავით ალიმბარაშვილს მინიჭებული ხარისხის „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით" ნაცვლად მიენიჭოს „ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით".
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის (დღის განყოფილება) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№4, 1.07.1998) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, პროფესორ ლ. საბაურის** ინფორმაცია კურსდამთავრებულებისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

ა. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმში 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ტურიზმის საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

	გვარი, სახელი	*პირადი ნომერი*	*დამატებითი სპეციალობა*

N			*(Minor)*
	დიპლ		
1.	ინჯია ანა		
2.	კვარაცხელია ნიკოლოზ		
3.	კოხრეიძე ლუკა		
4.	ლაზარიაშვილი გიორგი		
5.	ლორთქიფანიძე ლუკა		
6.	საღლიანი თორნიკე		
7.	ძანძავა ლუკა		

წარმოდგენილია ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებული თანდართული დოკუმენტები.

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოთ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმში 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ტურიზმის საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

№№	*გვარი, სახელი*	*პირადი ნომერი*	*დამატებითი სპეციალობა (Minor)*
	დიპლომი ჩვეულებრივი:		
8.	ინჯია ანა		
9.	კვარაცხელია ნიკოლოზ		
10.	კოხრეიძე ლუკა		
11.	ლაზარიაშვილი გიორგი		
12.	ლორთქიფანიძე ლუკა		
13.	საღლიანი თორნიკე		
14.	ძანძავა ლუკა		

ბ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ლ. საბაურმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ფაკულტეტზე შემოვიდა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის დირექტორის ქალბატონი თ. სულუხიას წერილი, რომელსაც თან ახლდა 2023 წლის 10 აპრილის თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით აკადემიური ხარისხი უნდა მიენიჭოს: ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის საბაკალავრო პროგრამის 8 (რვა) კურსდამთავრებულს. ბატონმა ლ. საბაურმა ფაკულტეტის საბჭოს მიმართა შუამდგომლობით:

მიენიჭოს ეკონომიკის კურსდამთავრებულის/ბაკალავრის ხარისხი თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) 2022-2023 სასწავლო წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

- ✓ დიპლომი წარჩინებით

N	გვარი	სახელი	პირადი ნომერი
1	ნიკვაშვილი	ნათია	
2	ქაჯაია	ნანა	
3	ღავთაძე	მარიამ	

- ✓ ჩვეულებრივი წარჩინებით

1	გოდორაძე	ნინო	
2	კავთიაშვილი	ვერიკო	
3	მახაშვილი	ლუკა	
4	მთავარაშვილი	ირაკლი	

წარმოდგენილია ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებული თანდართული დოკუმენტები.

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 19**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ეკონომიკის კურსდამთავრებულის/ბაკალავრის ხარისხი თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) 2022-2023 სასწავლო წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

- ✓ **დიპლომი წარჩინებით**

N	გვარი	სახელი	პირადი ნომერი
1	ნიკვაშვილი	ნათია	
2	ქაჯაია	ნანა	

3	ღავთაძე	მარიამ

✓ ჩვეულებრივი წარჩინებით

1	გოდორაძე	ნინო
2	კავთიაშვილი	ვერიკო
3	მახაშვილი	ლუკა
4	მთავარაშვილი	ირაკლი

გ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ლ. საბაურმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ფაკულტეტზე შემოვიდა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის დირექტორის ქალბატონი თ. სულუხიას წერილი, რომელსაც თან ახლდა 2023 წლის 01 მარტის თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით აკადემიური ხარისხი უნდა მიენიჭოს: ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის საბაკალავრო პროგრამის 1 (ერთ) კურსდამთავრებულს. ბატონმა ლ. საბაურმა ფაკულტეტის საბჭოს მიმართა შუამდგომლობით:

მიენიჭოს ეკონომიკის კურსდამთავრებულის/ბაკალავრის ხარისხი თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) 2022-2023 სასწავლო წლის შემდეგ კურსდამთავრებულს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. ხატია მანველიშვილი

წარმოდგენილია ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებული თანდართული დოკუმენტები.

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ეკონომიკის კურსდამთავრებულის/ბაკალავრის ხარისხი თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) 2022-2023 სასწავლო წლის შემდეგ კურსდამთავრებულს:

1. ხატია მანველიშვილი

მოისმინეს: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, პროფესორ ლ. საბაურის თსუ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ლ. საბაურმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა თსუ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებები:

ცვლილება შედის ეკონომიკის საბაკალავრი პროგრამა *(აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 77)*

ცვლილება: სასწავლო კურსების სილაბუსების მოდიფიცირების შესახებ.

ცვლილების აღწერა: განახლდა შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსები და წარმოდგენილ იქნა მოდიფიცირებული სახით, კერძოდ: ახალი სახელმძღვანელოს გამოცემასთან დაკავშირებით განახლდა ლიტერატურა და თემატიკა შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსებში:

- ეკონომიკური პოლიტიკა 1;
- ეკონომიკური პოლიტიკა 2.

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილი განსახორციელებელი ცვლილებები.

მოისმინეს: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, პროფესორ ლ. საბაურის

ინფორმაცია თსუ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ლ. საბაურმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა თსუ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებები:

ცვლილება შედის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა *(აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული, დანართი №80)*:

ა) ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების დამატების შესახებ.

ცვლილების აღწერა: ,,ბიზნესის ეკონომიკის" კონცენტრაციის არჩევით კურსებს მესამე სემესტრში დაემატა სასწავლო დისციპლინა:

- მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა (5 კრედიტი);

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის გამდიდრება ახალი არჩევითი სასწავლო კურსებით.

ბ) ცვლილება: სასწავლო კურსების სილაბუსების მოდიფიცირების შესახებ.

ცვლილების აღწერა: **,,საერთაშორისო ფინანსების"** კონცენტრაციის სასწავლო კურსის სილაბუსში „მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი SPSS-ში" განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- სილაბუსის ავტორებს დაემატა პროფესორი დემურ სიჭინავა და ასისტენტ-პროფესორი მზია ტიკიშვილი, შეიცვალა შეფასების ფორმები და კრიტერიუმები: პრაქტიკულ მეცადინეობაზე აქტივობა განისაზღვრა 25 ქულით, შუალედური გამოცდა განისაზღვრა 20 ქულით. განახლდა ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება.

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში წარმოდგენილი განსახორციელებელი ცვლილებები.

მოისმინეს: **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, პროფესორ ლ. საბაურის** ინფორმაცია თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) „ფინანსების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ლ. საბაურმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET)

ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში "ფინანსები" განსახორციელებელი ცვლილებები:

ცვლილება შედის თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებით №106/2021; 29/11/2021 დამტკიცებულ დანართში №306 - თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) „ფინანსების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ა) დაზუსტდეს ქვემოთ მოცემულ სასწავლო კურსებზე წინაპირობები შემდეგი სახით:

- სასწავლო კურსის „ეთიკა ფინანსურ სექტორში“ წინაპირობად განესაზღვროს სასწავლო კურსები „ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1“; „კორპორატიული ფინანსები 1“, ხოლო დაშვების წინაპირობებიდან ამოღებულ იქნეს „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 2“.
- სასწასვლო კურსის „საინვესტიციო პორტფელის მართვა“ წინაპირობად განესაზღვროს სასწავლო კურსები „სასესხო ინსტრუმენტების შეფასება“; „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებში 2“. ხოლო, დაშვების წინაპირობებიდან ამოღებულ იქნეს „ეთიკა ფინანსურ სექტორში“.
- სასწავლო კურსის „Capstone პროექტის“ დაშვების წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსები „ეთიკა ფინანსების სფეროში“; „ბიზნესის შეფასება“; „ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 2“; „კორპორატიული ფინანსები 2“; „კვლევითი მეთოდები“.

ბ) სასწავლო კურსი „საინვესტიციო პორტფელის მართვა“ პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდეს სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსით.

გ) შეიცვალოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების მოცულობა და ქვემოთ მოცემულ სასწავლო კურსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების მოცულობა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

- ✔ „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 1“ - პრაქტიკუმები - 22 საათი, ლექციები - 11 საათი;
- ✔ „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 2“ - პრაქტიკუმები - 22 საათი, ლექციები - 11 საათი;
- ✔ „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 3“ - პრაქტიკუმები - 22 საათი, ლექციები - 11 საათი;

- ✔ „ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა“ - პრაქტიკუმები - 22 საათი, ლექციები - 11 საათი;
- ✔ „ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1“ - პრაქტიკუმები - 16.5 საათი, ლექციები - 16.5 საათი;
- ✔ „ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 2“ - პრაქტიკუმები - 16.5 საათი, ლექციები - 16.5 საათი;
- ✔ „კორპორატიული ფინანსები 1 “ - პრაქტიკუმები - 16.5 საათი, ლექციები - 16.5 საათი;
- ✔ „კორპორატიული ფინანსები 2 “ - პრაქტიკუმები - 16.5 საათი, ლექციები - 16.5 საათი;
- ✔ „ბიზნესის შეფასება“ - პრაქტიკუმები - 22 საათი, ლექციები - 11 საათი;

დ) განახლდეს ქვემოთ მოცემულ სასწავლო კურსებში გამოყენებული სტანდარტიზებული შეფასების მიდგომები და მეთოდები შემდეგი სახით:

- ✔ „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 1“- შუალედური გამოცდისა და დასკვნით ნაწილში ღია კითხვებს დაემატოს ამოცანების კატეგორიაც. ამოცანები სტუდენტს საშუალებას მისცემს მათემატიკური მიდგომებით მოახდინოს პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტა.
- ✓ „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 2„ - შუალედური გამოცდისა და დასკვნით ნაწილში ღია კითხვებს დაემატოს ამოცანების კატეგორია.
- ✔ „ფინანსური და მმართელობითი აღრიცხვა“ - შუალედური და დასკვნითი გამოცდები უნდა მოიცავდეს პრაქტიკული სავარჯიშოებს, შემთხვევის ანალიზს, კერძოდ, რეალური კომპანიების ფინანსური ანგარიშების ანალიზს.
- ✔ „სასესხო ინსტრუმენტების შეფასება“ - შეფასებების ნაწილში ღია და დახურული ტესტური ტიპის კითხვებს დაემატოს ამოცანების კომპონენტიც, რომელში შემოთავაზებულ პრობლემურ საკითხებსაც სტუდენტი პასუხს გასცემს შესაბამისი/კონკრეტული შემთხვევის შესწავლის საფუძველზე.
- ✓ „რისკების მართვა“ - შეფასების მიდგომებს დაემატოს ე.წ. ‘Case-Problem’ მეთოდი.

ე) პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმდეს და/ან მოხდეს საჭირო ცვლილებების შეტანა არსებულ მემორანდუმებში, რომლითაც განისაზღვრება სტაჟიორ სტუდენტთა რაოდენობები თითოეულ ორგანიზაციაში, შემდეგნაირად:

✔ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახური, 10 სტუდენტი;

✔ თიბისი კაპიტალი, 5 სტუდენტი;

✔ პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფი (PMCG), 5 სტუდენტი;

✔ ეისითი (ACT), 5 სტუდენტი;

✔ საკონსულტაციო კომპანია PMO, 5 სტუდენტი;

✔ ISET-ის კვლევითი ინსტიტუტში, 10 სტუდენტი

ვ) სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების რეგულაციაში, პროგრამის აღწერილობასა და ISET-ის ვებ-გვერდზე დაემატოს მითითება უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა ჩარიცხვის წესის არსებობის შესახებ.

ზ) მაგისტრანტთა ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებს დაემატოს მაგისტრანტისთვის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების სტილისტური კომპონენტების (ტექსტის დაკაბადონების წესები, სქოლიოებისა და წყაროების აკადემიური ორგანიზების ნორმები, და ა.შ.) გაცნობის ვალდებულება.

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) „ფინანსების“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი განსახორციელებელი ცვლილებები.

მოისმინეს: **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, პროფესორ ლ. საბაურის** ინფორმაცია თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკაში (ინგლისურენოვანი პროგრამა) ცვლილებების შეტანის შესახებ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ლ. საბაურმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკაში (ინგლისურენოვანი პროგრამა) განსახორციელებელი ცვლილებები:

ცვლილება შედის თსუ ეკონომიკისა და ბიზნების ფაკულტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკაში (ინგლისურენოვანი პროგრამა) (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 82):

ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი სასწავლო კურსის დამატების შესახებ.

ცვლილების აღწერა: პროგრამას ემატება ახალი არჩევითი მულტიდისციპლინარული სასწავლო კურსი „Competition policy and regulation"- „კონკურენციის პოლიტიკა და რეგულირება" (3 კრედიტი), რომელიც წარმოადგენს თსუ საჯარო მმართველობის პროგრამის კურსს ქალაქ შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტთან თანამშრომლობით განხორციელებული პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება 2021-22 სასწავლო წლიდან FIBAA-ს საერთაშორისო სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციის ფარგლებში. განმარტება: პარტნიორი შპაიერის პროგრამის მიერ გაუთვალისწინებლად განხორციელებული ცვლილება, რაც გულისხმობს პროგრამაში არსებული არჩევითი კურსის „Decision Making in Modern Western Pluralistic Societies – Public Authorities and the Challenge of the Conflict of Interests" – „გადაწყვეტილების მიღება თანამედროვე დასავლურ პლურალისტურ საზოგადოებებში" გაუქმებას მხოლოდ მიმდინარე სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში (ივნისში), შესაბამისად, თსუ საჯარო მმართველობის შპაიერის პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან ახალი არჩევითი სასწავლო კურსის „Competition policy and regulation"- „კონკურენციის პოლიტიკა და რეგულირება" (3 კრედიტი) შემოთავაზება.

საფუძველი: არჩევითი სასწავლო კურსების სპექტრის გამრავალფეროვნება.

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 19**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკაში (ინგლისურენოვანი პროგრამა) წარმოდგენილი განსახორციელებელი ცვლილებები.

მოისმინეს: დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის მ. ჩავლეიშვილის ინფორმაცია ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **რუსუდან სრესელისათვის** მეცნიერ-ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ.

დოქტორანტ რუსუდან სრესელს მეცნიერ ხელმძღვანელად: ემერიტუსი პროფესორის ელენე ხარაბაძის ნაცვლად, დაუმტკიცდეს პროფესორი ლევან საბაური.

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დოქტორანტ **რუსუდან სრესელს** სამეცნიერო ხელმძღვანელად დაუმტკიცდეს **პროფესორი ლევან საბაური.**

მოისმინეს: დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის მ. ჩავლეიშვილის ინფორმაცია ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ალექსანდრე ვაჭარაძის** სადისერტაციო თემის ცვლილების შესახებ

დოქტორანტ **ალექსანდრე ვაჭარაძეს** სადისერტაციო თემა: *„პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ეკონომიკური პოლიტიკისა“* ნაცვლად, დაუმტკიცდეს: *„მწვანე ენერგეტიკის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში“.*

აზრი გამოთქვა: დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა, **ასოცირებულმა პროფესორმა ირინა გოგორიშვილმა** დაასაბუთა სადისერტაციო თემის ცვლილების მიზანშეწონილობა და აღნიშნა, რომ დოქტორანტი მუშაობს ამ სფეროში და იგი შეძლებს კვლევის წარმატებით განხორციელებას. თემა დაკავშირებულია ინვესტიციებთანაც. მწვანე ეკონომიკის განხორციელებას სჭირდება უზარმაზარი ინვესტიციები. მალე საქართველო გახდება ენერგეტიკული ჰაბი და ამ საკითხების დამუშავება უაღრესად აქტუალურია.

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დოქტორანტ **ალექსანდრე ვაჭარაძეს** შეეცვალოს სადისერტაციო თემა და დაუმტკიცდეს **„მწვანე ენერგეტიკის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა** საქართველოში“.

მოისმინეს: **დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის მ. ჩავლეიშვილის** ინფორმაცია ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **თამარ ჯანგულაშვილის** სადისერტაციო თემის და მეცნიერ-ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ.

დოქტორანტ **თამარ ჯანგულაშვილს** სადისერტაციო თემა: **,,სოციალური მარკეტინგის როლი საზოგადოებრივი ჯანდაცვის გაუმჯობესების ხელშესაწყობად** (საქართველოს მაგალითზე)“ ნაცვლად, დაუმტკიცდეს: **„ღია ინოვაციების როლი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში“** და მეცნიერ ხელმძღვანელად დაენიშნოს პროფესორი **თემურ შენგელია.**

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დოქტორანტ **თამარ ჯანგულაშვილს** შეეცვალოს სადისერტაციო თემა და მეცნიერ ხელმძღვანელი.

მოისმინეს: **დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის მ. ჩავლეიშვილის ინფორმაცია** დოქტორანტ **შოთა გაბადაძის** სადისერტაციო თემისა და მეცნიერ ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **შოთა გაბადაძეს** დაუმტკიცდეს სადისერტაციო თემა: **„საქართველოს სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის მაჩვენებლების მიმართულებები“** და მეცნიერ ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე.**

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტ **შოთა გაბადაძეს** სადისერტაციო თემა: **„საქართველოს სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის მაჩვენებლების მიმართულებები“** და მეცნიერ ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე.**

მოისმინეს: **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის** ინფორმაცია მიმდინარე საკითხების შესახებ:

ა. მინიმალური სამეცნიერო სტანდარტი ფაკულტეტის ყველა თანამშრომელს აქვს შესრულებული.

ბ. გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის საფუძველზე, აბიტურიენტების მიერ გაკეთებული არჩევანით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი კვლავ ლიდერია.

გ. აკადემიკოს ფილიპე გოგიჩაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემსწავლელი კომისიის პირველი სხდომა დაინიშნოს 2023 წლის 26 აპრილს 14 საათზე.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი — გ.ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი — გ. ერქომაიშვილი